ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: Click here to enter text.

ირინე დარჩია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წევრები:

ზურაბ ალხანიშვილი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაცია

ნინო ბერიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანა გვრიტიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარიამ დალაქიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2019

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	204393717
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22 (ნაკვეთი N7/29) ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. N 24.
ვებ-გვერდი	www.tdasu.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	11 მაისი, 2015. გადაწყვეტილება N 10
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	11 მაისი, 2021

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	5
ბაკალავრიატი	2
მაგისტრატურა	2
ერთსაფეხურიანი	1
დოქტორანტურა	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	-
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	5
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	-

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			950
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	245	35	
ბაკალავრიატი	129	26	
მაგისტრატურა	12	7	
ერთსაფეხურიანი	104	2	
დოქტორანტურა	-	-	
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-	-	

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის ჰ[48] პუნქტში

ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	-	-	
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	5		
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	-	-	

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	54 (2018 წლის 18 სექტემბრის მდგომარეობით თდასუ-ს ჰყავდა 72 აკადემიური პერსონალი. 2019 წლის 21 იანვარს აკადემიური პერსონალის 18 წარმომადგენელს შეუწყდა ხელშეკრულება)
- პროფესორი	13
- ასოცირებული პროფესორი	22
- ასისტენტ პროფესორი	10
- ასისტენტი	9
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	
- მეცნიერი	-
- პოსტდოქტორანტი	-
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	
- აფილირებული პროფესორი	-
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	-
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	-
- აფილირებული ასისტენტი	-
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	8
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	14

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	2 901.92 კვ. მ.
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1 796.65 კვ. მ.
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1 105.27 კვ. მ.

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტს (შემდგომში: თდასუ) ავტორიზაცია მიენიჭა 5 წლის ვადით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 11 მაისის N10 გადაწყვეტილების საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში მითითებული არსებითი ხარვეზების გამო, 2016 წლის 11-12 აპრილს თდასუ-ში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის მიზნით. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში, მატერიალურ და ადამიანურ რესურსში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 6 მაისის N 10 გადაწყვეტილებით, შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება თდასუ-ს ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2016-2017 წლებში თდასუ-ს მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აკრედიტაციის მიზნით წარდგენილმა სამმა პროგრამამ ვერ მოიპოვა აკრედიტაცია. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 25 აგვისტოს N 113, 2016 წლის 14 დეკემბრის N 139 და 2017 წლის 18 მაისის N 13 გადაწყვეტილებებით, უარი ეთქვა აკრედიტაციაზე სამართლისა და ფარმაციის საბაკალავრო პროგრამებს.

აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გამოვლენილი ხარვეზები - როგორც ინსტიტუციური განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი - გახდა ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საფუძველი. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა 2018 წლის 13 სექტემბერს და 27 დეკემბერს მიმართა დაწესებულებას და გამოითხოვა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. 2018 წლის 31 დეკემბრის N 1159 ბრძანებით დამტკიცდა შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა თდასუ-ს მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით.

მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა და შეაფასა თდასუ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის შედეგადაც დადგინდა შემდეგი:

ა) შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის არასრული და არ იძლევა საკმარის და სათანადო ინფორმაციას, რათა დადგინდეს დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან;

ბ) ავტორიზაციის სტანდარტების შეფასების ცალკეული კრიტერიუმის სპეციფიკიდან გამომდინარე, მხოლოდ დოკუმენტაციის გაცნობისა და შეფასების საფუძველზე ვერ დგინდება დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება, ხოლო შეფასების პროცესის ჯეროვნად წარმართვისათვის დამატებით გამოითხოვა გარკვეული ინფორმაცია და დოკუმენტები (სია იხ.

დანართის სახით). მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფმა თდასუ-ში ვიზიტი განახორციელა 2019 წლის 8 და 9 თებერვალს. ვიზიტის განმავლობაში ჩატარდა ინტერვიუები ყველა დაინტერესებულ მხარესთან, მოთხოვნილ იქნა დამატებითი დოკუმენტები. მონიტორინგის ვიზიტის პროცესში შეფასდა თდასუ-ს შესაბამისობა ავტორიზაციის შვიდივე სტანდარტთან.
მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები: ☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☒ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში შეფასების განხორციელების თარიღი: 11 -12 აპრილი, 2016 _____

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

პირველი სტანდარტი

- ✓ კომუნიკაციის გაუმჯობესება საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან, მისიის გაცნობა, მისი გაზიარება და საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიკაცია დაინტერესებული მხარეების უშუალო ჩართულობით.
- ✓ თდასუ-ს მიზნების დაკონკრეტება/დაზუსტება დაწესებულების რეალური საქმიანობიდან გამომდინარე;
- ✓ თდასუ-ში არსებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის იმპლემენტაცია;
- ✓ საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის სტრატეგიული განვითარების გეგმის გაცნობა;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში, სტრატეგიული განვითარების გეგმის მოდიფიკაცია დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით;
- ✓ სამოქმედო გეგმაში ცალკეული აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური რესურსების მითითება;

მეორე სტანდარტი

- ✓ გადაიხედოს უსდ-ს სტრატეგიული გეგმა და მისი მონიტორინგის მექანიზმი დღეს არსებული მდგომარეობის და ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;
- ✓ მოხდეს უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა;
- ✓ გადაიხედოს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;
- ✓ შემუშავდეს და დაინერგოს ხარისხის შეფასების ვალიდური ინსტრუმენტები;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩაერთოს ყველა დაინტერესებული მხარე;
- ✓ გადაიხედოს სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია, მისი შემუშავების და იმპლემენტაციის პროცესში უზრუნველყოფილ იქნას ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა;
- ✓ თდასუ-მ უზრუნველყოს ბიზნეს პროცესების უწყვეტობის ეფექტიანი გეგმის შემუშავება და იმპლემენტაცია;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართოს ყველა დაინტერესებული მხარე;
- ✓ თდასუ-მ უზრუნველყოს ეთიკის სტანდარტის ეფექტიანი იმპლემენტაცია;
- ✓ მოხდეს სტუდენტების ინფორმირება, მათი ცნობიერების ამაღლება აკადემიური თავისუფლების პრინციპის შესახებ;

მესამე სტანდარტი

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, პროგრამებში ცვლილების განხორციელებისა და განახლების პროცესში სტუდენტების, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების აქტიური ჩართულება;
- ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირება პროგრამაში ცვლილების „კანონმდებლობით დაშვებული შესაძლებობების“ შესახებ;
- ✓ პროფესიულ გაერთიანებებთან მემორანდუმების გაფორმება, თანამშრომლობის დამყარება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში;
- ✓ დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობა;
- ✓ პროგრამით გათვალისწინებული სწავლების მეთოდების იმპლემენტაცია;
- ✓ სასწავლო პროგრამებში სახელმძღვანელოების განახლება;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების მეტი საჯაროობის უზრუნველყოფა - ვებ-გვერდზე განთავსდეს ყველა საგანმანათლებლო პროგრამა;
- ✓ სტომატოლოგიის პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება;
- ✓ პროგრამასა და მემორანდუმებში დაზუსტდეს სტუდენტების სამედიცინო ბაზებზე პრაქტიკული მუშაობის შინაარსი, მიეთითოს კონკრეტული ვალდებულებები და უფლებები და მოხდეს მათი იმპლემენტაცია.
- ✓ შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა;
- ✓ შეფასების გასაჩივრების ეფექტური სისტემის შემუშავება და ამოქმედება;
- ✓ სწავლის შედეგების შესაბამისი შეფასების მეთოდების დანერგვა;
- ✓ სტუდენტთა შეფასებების, მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდა.

მეოთხე სტანდარტი

- ✓ ფაკულტეტის საბჭოში წევრების არჩევის პროცედურის შემუშავება და ამოქმედება;
- ✓ პერსონალის პროფესიული განვითარების სტრატეგიის - პერსონალის მართვის პოლიტიკის მიზანმიმართული და თანმიმდევრული იმპლემენტაცია;

- ✓ „ადმინისტრაციულ თანამდებობაზე თანამშრომელთა შერჩევისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის წესის“ მიზანმიმართული და თანმიმდევრული იმპლემენტაცია;
- ✓ სპეციალური პროცედურის შემუშავება და დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების სწრაფ და ეფექტიან ჩართვას სამუშაო პროცესში;
- ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სრულყოფილი და მუდმივი მონიტორინგი;
- ✓ აკადემიური პერსონალის აფილირების საკანონმდებლო მოთხოვნის დროულად და ჯეროვნად შესრულება;

მეხუთე სტანდარტი

- ✓ დაწესებულების მიერ შემუშავებული სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის შესახებ დოკუმენტის გაცნობა სტუდენტებისათვის.
- ✓ სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, თდასუ-მ გაატაროს შესაბამისი ზომები - გამოყოს კონკრეტული პირი, რომელიც უზრუნველყოფს დამსაქმებელთა ბაზის შექმნას, მათთან კომუნიკაციას და სტუდენტებისათვის აღნიშნული ინფორმაციის დროულ და ეფექტიან მიწოდებას;
- ✓ საერთაშორისო პროფილის გაძლიერების მიზნით თდასუ-მ უზრუნველყოს გაცვლითი პროგრამების ამოქმედება, რაც თავად დაწესებულებას მისიაშიც აღნიშნული აქვს;
- ✓ თდასუ-მ გაითვალისწინოს სტუდენტების პოზიცია როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული საქმიანობის გაუმჯობესების პროცესში, აგრეთვე უზრუნველყოს უკუკავშირი სტუდენტებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გატარებული ზომების შესახებ;

მეექვსე სტანდარტი

- ✓ სწავლების, კვლევისა და ეკონომიკის ინტეგრირების მიზნით გაიზარდოს თდასუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების ეფექტიანობა;
- ✓ თდასუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმინობა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ კონფერენციების ორგანიზებით და მათი მასალების დაბეჭდვით, არამედ აკადემიურმა პერსონალმა თავისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები გამოაქვეყნოს ქართულ და უცხოურ რეფერირებად სამეცნიერო-კვლევით კრებულებში;
- ✓ შემუშავდეს და დაინერგოს სამეცნიერო კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურა;
- ✓ თდასუ-მ შეიმუშავოს და დანერგოს სამეცნიერო კვლევების მხარდამჭერი ღონისძიებების/კონსულტირების სისტემა;
- ✓ მოხდეს პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემის ამოქმედება;
- ✓ პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნას თდასუ-ს საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.

მეშვიდე სტანდარტი

თდასუ-მ უზრუნველყოს:

- ✓ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N18-22 მისამართზე მდებარე შენობის შესაბამისობაში მოყვანა ავტორიზაციის სტანდარტთან, რათა შესაძლებელი გახდეს აღნიშნული შენობის გამოყენება საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიზნებისთვის;
- ✓ თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. N24 მისამართზე მდებარე შენობაში მეექვსე და მეშვიდე სართულების საევაკუაციო რკინის კარის შეცვლა ხის მასალისგან დამზადებული კარით,

ხოლო თავად შენობის საევაკუაციო გასასვლელი შესაბამისობაში მოვიდეს ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ უსაფრთხოების მოთხოვნებთან;

- ✓ რუსთავის გზატკეცილი N18-22 მისამართზე მდებარე შენობიდან იმ სახელმძღვანელოების გადმოტანა და სულხან ცინცაძის ქ. N24 მისამართზე მდებარე შენობაში არსებულ ბიბლიოთეკაში განთავსება, რომლებიც სტატისტიკურად მოთხოვნადია როგორც სტუდენტების, ასევე პერსონალის მიერ, რაც ხელს შეუწყობს, წიგნადი ფონდის ხელმისაწვდომობის ზრდას;
- ✓ ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსების აქტიური გამოყენების უზრუნველყოფა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ;
- ✓ ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება ინგლისურ ენაზე;
- ✓ აკადემიური პერსონალის შესახებ ინფორმაცის სრულყოფა (პედაგოგების და სამეცნიერო პერსონალის პროფილი, საკონტაქტო ინფორმაცია);
- ✓ ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულებზე პასუხისმგებელი პერსონალის შესახებ ინფორმაციის განთავსება;
- ✓ თდასუ-ში საქმისწაროების ელექტრონული სისტემის დანერგვა;
- ✓ თდასუ-ის ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალიწინებული იქნას საგანმანათლებლო პროგრამებიდან მიღებული ფაქტობრივი შემოსავლები, დაფიქსირდეს არსებული დეფიციტის შესავსებად საჭირო დივერსიფიცირებული წყაროები, დაგეგმილი ხარჯების განხორციელების მდგრადობის განსაზღვრის მიზნით;
- ✓ მატერიალურ ფასეულლობებს (კომპიუტერული ტექნიკა, საოფისე ავეჯი და სხვა) მიენიჭოს შტრიხკოდები კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
- ✓ დაინიშნონ მატერიალურ ფასეულობების მოვლა/შენახვაზე პასუხიმგებელი პირები.

რჩევები

პირველი სტანდარტი

- ✓ თანმიმდევრული და ეფექტიანი რეაგირება სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგებზე;
- ✓ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში შესრულების კრიტერიუმების და/ან გაზომვადი ინდიკატორების უფრო მკაფიოდ და კონკრეტულად მითითება;

მეორე სტანდარტი

- ✓ სასურველია, თდასუ-მ უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბოს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა. ჩართოს და გაუზიაროს ის ყველა დაინტერესებულ მხარეს;
- ✓ უსდ-მ გამოიყენოს მონაცემთა ტრიანგულაციის მეთოდი, რათა ანალიზის შედეგები იყოს მეტად ინფორმატიული.
- ✓ სასურველია, უსდ-მ უფრო აქტიურად უზრუნველყოს პლაგიატის რაობის შესახებ სტუდენტებისა და აკადემიური და მოწვეული ლექტორების ინფორმირება და დამხმარე რესურსები.

მესამე სტანდარტი

- ✓ საუნივერსიტეტო კლინიკის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და ფუნქციონირება;
- ✓ ვებგვერდზე საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლება;

მეოთხე სტანდარტი

- ✓ დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების (შერჩევის ან დანიშვნის) პროცედურის შემუშავება და ამოქმედება, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი პროცესისი გამჭვირვალობასას და ობიექტურობას;
- ✓ აკადემიური და დამხმარე პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებისა და სამუშაოს აღწერილობების შემუშავება;
- ✓ აკადემიური პერსონალის სისტემატური და თანმიმდევრული ინფორმირება უმაღლესი განათლების მიმართ არსებული უახლესი საკანონმდებლო მოთხოვნების, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესახებ;
- ✓ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შესახებ;
- ✓ წახალისების გარკვეული მექანიზმების შემუშავება, რათა საუკეთესო კადრებს გაუჩნდეთ თდასუ-სთან აფილირების დამატებითი მოტივაცია;
- ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის პროცესში სტუდენტთა არსებული და მისაღები კონტიგენტის, პროგრამის სპეციფიკის და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება;

მეექვსე სტანდარტი

- ✓ გაუმჯობესდეს კომუნიკაცია აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის ისეთ საკვანძო საკითხზე, როგორიცაა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;
- ✓ თდასუ-მ დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შეიმუშაოს და დანერგოს სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის პოლიტიკა;
- ✓ თდასუ-მ გაატაროს შესაბამისი ზომები, რათა მოხდეს სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესის სათანადო იმპლემენტაცია, რაც უზრუნველყოფს სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციას უსდ-ს მისიისა და ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;
- ✓ სასურველია, თდასუ-მ დაინტერესებული მხარეების ჩართულობით განსაზღვროს კვლევითი პრიორიტეტები და გაუზიაროს ინფორმაცია ყველა სამიზნე ჯგუფს;
- ✓ სასურველია მაგისტრანტების ჩართულობა სამეცნიერო კვლევებში თუნდაც სამეცნიერო კონფერენციებში მათი მონაწილეობის გზით;
- ✓ გამოქვეყნდეს ანგარში წარმოებული სამეცნიერო-კვლევების შესახებ.

მეშვიდე სტანდარტი

- ✓ თდასუ-მ უზრუნველყოს სსსმ სტუდენტებისთვის მათ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე ადაპტირებული პროგრამით/ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან (ასევე ადმინისტრაციასთან) წვდომის შესაძლებლობა;
- ✓ საბიბლიოთეკო რესურსების გამდიდრება თანამედროვე, მიმდინარე სასწავლო პროგრამების შესაბამისი ახალი ბეჭდური გამოცემებით;
- ✓ ელექტრონული რესურსების ახალ ბაზებთან წვდომის გაზრდა;
- ✓ სასურველია დაწესებულებამ ვებგვერდზე განათავსოს: სტრატეგიული განვითარების გეგმები, დაწესებულების წლიური ანგარიშები, ინფორმაცია მიმდინარე და განხორციელებული კვლევების შესახებ, ზოგადი სტატისტიკური მაჩვენებლები, ინფორმაცია სტუდენტებისთვის დასაქმების შესაძლებლობის შესახებ და სხვ.

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☒	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☒	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☒
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☒
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☐	☐	☒
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☒	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☒	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☒	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	☒	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☐	☒	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☒	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☒	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☒	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☒	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☒	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☒	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☒	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☒	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☒	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სახელი, გვარი (თავმჯდომარე): ირინე დარჩია
2. სახელი, გვარი (წევრი): ნინო ბერიშვილი
3. სახელი, გვარი (წევრი): ანა გვრიტიშვილი

4. მარიამ დალაქიშვილი (წევრი):

5. სახელი, გვარი (წევრი): ზურაბ ალხანიშვილი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში: თდასუ) ხედვა, მისია, მიზნები, ამოცანები, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა (2018-2024 წწ.) და სამწლიანი სამოქმედო გეგმა (2018-2021) დამტკიცებულია რექტორის 2017 წლის 30 დეკემბრის N 076/01 ბრძანებით. მისიაში გაცხადებულია თდასუ-ს როლი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე („ხელი შეუწყოს ინტელექტუალურ პროგრესს და მეცნიერებაზე დაფუძნებული საზოგადოების განვითარებას; შეინარჩუნოს ეროვნული საგანმანათლებლო ტრადიციების უმნიშვნელოვანესი მონაპოვრები და უზრუნველყოს მათი შერწყმა თანამედროვე საერთაშორისო ტექნოლოგიურ მიღწევებთან“); თდასუ-ს მისია ითვალისწინებს უმაღლესი განათლების როლს დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრის მომზადებაში, ცოდნის შექმნასა და გაზიარებაში, სტუდენტების პიროვნული განვითარების ხელშეწყობასა შრომის ბაზარზე კონკურენტურანარიანობის უზრუნველყოფაში („გამოიყენოს ქართული და ევროპული მეცნიერული სკოლების მემკვიდრეობა და ჩართოს მომავალი სპეციალისტების აღზრდის უზრუნველყოფის საქმეში“. „მომავალი თაობების აღზრდის მიზნით შექმნას განათლების ევროპული განზომილებების მოთხოვნათა შესაბამისი სოციალური, ინსტიტუციურიმ ეთიკური (ზნეობრივი) და ინტელექტუალური ბაზისი“); თდასუ-ს მისია განსაზღვრავს მის მახასიათებლებს მისი სახისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების (პროფილი) მიხედვით („საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური დონის ამაღლებისა და განვითარების მიზნით, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მეშვეობით, უზრუნველყოს კვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადება საქართველოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრული მიმართულებების ფარგლებში“).

მიუხედავად იმისა, რომ თდასუ-ს მისია თავისი შინაარსით შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მასში ნაკლებად ჩანს დაწესებულების ინდივიდუალური სახე, თუ რა გამოარჩევს მას უმაღლესი განათლების ქართულ ბაზარზე არსებული სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან. როგორც ინტერვიუებმა ცხადყო, თდასუ-ს მისია არ არის გაზიარებული საუნივერსიტეტო საზოგადოების მიერ. აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციისა და სტუდენტების წარმომადგენლებს არ მიუღიათ მონაწილეობა მისიის შემუშავების პროცესში და მათ ძალიან ზოგადი წარმოდგენა აქვთ დაწესებულების მისიაზე. თდასუ-ს ინსტიტუციური განვითარებისთვის და ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისი მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად, რეკომენდებულია კომუნიკაციის გაუმჯობესება საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან, მისიის გაცნობა, მისი გაზიარება და საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიკაცია დაინტერესებული მხარეების უშუალო ჩართულობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). ✓ რექტორის 2017 წლის 30 დეკემბრის N 076/01 ბრძანება „შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმის (სამწლიანი) დამტკიცების შესახებ; ✓ ინტერვიუები ფაკულტეტის დეკანთან და მენეჯერთან, ფაკულტეტის საბჭოს წევრებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, რექტორთან, სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ✓ კომუნიკაციის გაუმჯობესება საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან, მისიის გაცნობა, მისი გაზიარება და საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიკაცია დაინტერესებული მხარეების უშუალო ჩართულობით.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

როგორც უკვე აღინიშნა, თდასუ-ს ხედვა, მისია, მიზნები, ამოცანები, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა (2018-2024 წწ.) და სამწლიანი სამოქმედო გეგმა (2018-2021) დამტკიცებულია რექტორის 2017 წლის 30 დეკემბრის N 076/01 ბრძანებით.

აღნიშნულ დოკუმენტში ჩამოყალიბებული მიზნების ნაწილი მეტისმეტად ზოგადი, ფართო და ყოვლისმომცველია, რაც ვერ უზრუნველყოფს მათ მიღწევას თდასუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის ფარგლებში. თდასუ-ის მიზნების ნაწილი ასევე უკავშირდება მის მისიას, თუმცა იმდენად გლობალური ხასიათისაა, რომ რთულდება როგორც მათი ლოკალიზაცია დროში, ისე შედეგების გაზომვა (მაგალითად, თდასუ-ს მიზნებია „ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისთვის“; „სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი პერსონალის/სპეციალისტების მომზადება და გადამზადება“). იმისათვის, რომ თდასუ-ს მიზნები უშუალოდ დაუკავშირდეს მისი სტრატეგიული განვითარების გეგმას და უზრუნველყოფილი იქნას დროში მიღწევადი და გაზომვადი შედეგები, რეკომენდებულია დაწესებულების მიზნების დაკონკრეტება და დაზუსტება რეალური საქმიანობიდან გამომდინარე.

თდასუ-ს რექტორის 2017 წლის 30 დეკემბრის N 075/01/1 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნულ პროცესში სასწავლო უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურისა და აკადემიური საზოგადოების წევრთა მონაწილეობას (მაგალითად, როგორიცაა სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უმაღლესი განათლების ფაკულტეტის დეკანატი, საგანმანათლებლო პროგრამების მართვის ჯგუფი, ფაკულტეტის საბჭო, მოწვეული სპეციალისტები, სტუდენტები და სხვ.).

მიუხედავად იმისა, რომ თდასუ-ს აქვს ავტორიზაციის მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, ინტერვიუების შედეგად ვერ დადასტურდა ზემოთ აღნიშნული დაინტერესებული მხარეების ჩართულობა სტრატეგიის შემუშავების პროცესში. აღსანიშნავია ისიც, რომ რესპოდენტთა ნაწილს საერთოდ არ ჰქონდა ინფორმაცია სტრატეგიული განვითარების გეგმის არსებობის შესახებ, ხოლო ნაწილმა მის ხელთ არსებული ინფორმაციის სიმწირე დაწესებულებაში განხორციელებული საკადრო ცვლილებებით ახსნა.

თდასუ-ს ინსტიტუციური განვითარებისთვის და ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისი მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად, რეკომენდებულია დაწესებულებაში არსებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის იმპლემენტაცია, დაინტერესებული მხარეებისთვის სტრატეგიული განვითარების გეგმის გაცნობა და, საჭიროების შემთხვევაში, მისი მოდიფიკაცია საუნივერსიტეტო საზოგადოების მონაწილეობით.

თდასუ-ს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები მოიცავს დაწესებულების ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ისეთ ასპექტებს, როგორიცაა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ხარისხის უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო პროგრამები, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, სხვადასხვა სახის სერვისები, ადამიანური რესურსების განვითარება და სხვ., თუმცა სასურველია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში უფრო მკაფიოდ და კონკრეტულად მიეთითოს შესრულების კრიტერიუმები და/ან გაზომვადი ინდიკატორები.

სამოქმედო გეგმაში მითითებულია ცალკეული აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა/ცალკეული პირი, თუმცა რეკომენდებულია შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების მითითებაც.

თდასუ პერიოდულად ახორციელებს სოციალურ, გარემოს დაცვით და კულტურულ ღონისძიებებს,

რომელთაც მოკრძალებული, თუმცა თავიანთი წვლილი შეაქვთ საზოგადოების განვითარებაში, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპის განხორციელებაში. მაგალითად, 2017-2018 სასწავლო წელს ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: თბილისის სხვადასხვა უბნების დასუფთავების აქცია, ქველმოქვედება მარტყოფის ბავშვთა სახლში, შეხვედრები ცნობილ მწერლებთან, რეჟისორებთან და მსახიობებთან, ექსკურსიები საქართველოს ღირშესანიშნაობების გაცნობის მიზნით, ფიცის დადების ცერემონია ქუთაისში, დავით აღმაშენებლის საფლავზე და სხვ. თდასუ-ს რექტორის ზემოთ აღნიშნული N 076/01 ბრძანებით დამტკიცებულია შიდა შეფასებისა და მონიტორინგის ანკეტა, რომელშიც განსაზღვრულია ის ინდიკატორები და ინფორმაციის წყაროები, რომელთა საფუძველზეც უნდა მოხდეს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი. მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე თდასუ-მ წარმოადგინა 2018 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები, რომელშიც მოცემულია დაგეგმილი აქტივობების შესრულების მდგომარეობა და განსახორციელებელი ღონისძიებები. სასურველია, თდასუ-მ თანმიმდევრული და ეფექტიანი რეაგირება მოახდინოს სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები,ინტერვიუს შედეგები და სხვა). ✓ რექტორის 2017 წლის 30 დეკემბრის N 076/01 ბრძანება „შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმის (სამწლიანი) დამტკიცების შესახებ; ✓ 2017-2018 წელს ჩატარებული სოციალური, გარემოსდაცვითი და კულტურული ღონისძიებები; ✓ ინტერვიუები ფაკულტეტის დეკანთან და მენეჯერთან, ფაკულტეტის საბჭოს წევრებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, რექტორთან, სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ✓ თდასუ-ს მიზნების დაკონკრეტება/დაზუსტება დაწესებულების რეალური საქმიანობიდან გამომდინარე; ✓ თდასუ-ში არსებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის იმპლემენტაცია; ✓ საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის სტრატეგიული განვითარების გეგმის გაცნობა; ✓ საჭიროების შემთხვევაში, სტრატეგიული განვითარების გეგმის მოდიფიკაცია დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით; ✓ სამოქმედო გეგმაში ცალკეული აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური რესურსების მითითება.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ✓ თანმიმდევრული და ეფექტიანი რეაგირება სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგებზე; ✓ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში შესრულების კრიტერიუმების და/ან გაზომვადი ინდიკატორების უფრო მკაფიოდ და კონკრეტულად მითითება.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უსდ-ს მიერ წარმოდგენილი იქნა დაწესებულების სტრუქტურა და შესაბამისი სამსახურების სამუშაო აღწერილობები. უსდ-ს ორგანოგრამა ასახავს ყველა ორგანიზაციულ ერთეულს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, 21 იანვრის ბრძანებით შეიცვალა დაწესებულების სტრუქტურა და საშტატო განრიგიც. მომხდარი მაშსტაბური ცვლილებების შედეგად მოხდა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულების უფროსების გაშვება ან სხვა პოზიციაზე გადაყვანა (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ფაკულტეტის მენეჯერი, იურიდიული სამსახურის უფროსი, საქმისწარმოების სამსახურის მენეჯერი, სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციების სამსახურის უფროსი). აღნიშნულმა გარემოებამ ძალიან გაართულა უსდ-ში არსებული სურათის დანახვა და იმის დადგენა, რამდენად შეესაბამება უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ავტორიზაციის შესაბამის სტანდარტს. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები (ხარისხის უფროსი, დეკანი, უმაღლესი განათლების ფაკულტეტის მენეჯერი და ა.შ.) რესპონდენტები ინტერვიუებში ხშირად აღნიშნავდნენ, რომ არ ჰქონდათ რიგ საკითხებზე ინფორმაცია, განსაკუთრებით ისეთი კითხვების შემთხვევაში, რომლებიც მოგვცემდა საშუალებას დაგვენახა უსდ-ში არსებული პრაქტიკები და პროცესები (ვინაიდან ინტერვიუების პროცესში ვერ მოხერხდა ინფორმაციის მიღება, საჭირო გახდა დამატებითი ინტერვიუს ჩატარება რექტორთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან). ინტერვიუების პროცესში დადგინდა: • უსდ-ს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები სხვადასხვა მიზეზით (მათ შორის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო) ჯეროვნად ვერ ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობებს, რის

გამოც საჭირო გახდა ზემოთ აღნიშნული საკადრო ცვლილებები;

- ორგანიზაციულ ერთეულებს შორის კავშირი სუსტია;
- რიგ შემთხვევებში, უსდ-ს სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებისთვის ბუნდოვანია იერარქიული განაწილება და მათი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები;
- ზოგიერთ შემთხვევაში დგინდება ფუნქციების გადაფარვა;
- ზოგიერთ შემთხვევაში ჭირს კონკრეტულ საკითხზე პასუხისმგებელი პირის იდენტიფიკაცია.

ვიზიტის დროს დაისვა კითხვა სტრატეგიისა და სტრუქტურის ურთიერთკავშირზე. უსდ-ს წარმომადგენელთა მოსაზრებით, როგორც სტრატეგია, ისე ორგანიზაციული სტრუქტურა საჭიროებს გადახედვას და დახვეწას. რექტორთან და ხარისხის სამსახურის უფროსთან, ექსპერტების მოთხოვნით დანიშნულ, დამატებით, ინტერვიუზეც აღინიშნა, რომ 21 იანვრის საკადრო ცვლილებების შემდეგ ბევრი რამ არის დასალაგებელი და რომ ახალ გუნდს ახალი ხედვა აქვს. ასევე ბუნდოვანი და განსხვავებული იყო პასუხები იმის შესახებ, თუ როგორ ხდება საბჭოს წევრების შერჩევა და არჩევა (თავად ფაკულტეტის საბჭოს წევრებმაც ვერ უპასუხეს კითხვას, თუ კონკრეტულად რა პროცედურის დაცვით გახდნენ საბჭოს წევრები). აქედან გამომდინარე, თდასუ-ს მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურები ვერ ჩაითვლება გამჭვირვალედ და სამართლიანად.

თდასუ-ს საქმისწარმოების წესი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, თუმცა ჯერჯერობით არ არის დანერგილი ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა (ვიზიტის დროს მონიტორინგის ჯგუფის წევრების მოთხოვნის საფუძველზე, დაწესებულებამ მოახდინა არა ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის, არამედ ექსელის ფაილების დემონსტრირება).

მიუხედვად იმისა, რომ უნივერსიტეტს გაცხადებული აქვს, რომ ის ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციაზე, საერთაშორისო სტუდენტებისა და ლექტორების მოზიდვაზე, უსდ-ში ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ამ ეტაპზე მხოლოდ ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაშია. უსდ არ ახორციელებს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს, საერთაშორისო თანამშრომლობის პროფილი ვიწროა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები,ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- უსდ-ს დებულება;
- სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- ინტერვიუს შედეგები უსდ-ს სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან;
- უსდ-ში მოქმედი სტრატეგიული გეგმა;
- უსდ-ს ორგანოგრამა;
- ინტერვიუს შედეგები უმაღლესი განათლების ფაკულტეტის საბჭოს წარმომადგენლებთან, რექტორთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, ფაკულტეტის დეკანის მოადგილესთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

- ✓ გადაიხედოს უსდ-ს სტრატეგიული გეგმა და მისი მონიტორინგის მექანიზმი დღეს არსებული მდგომარეობის და ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;
- ✓ მოხდეს უსდ-ის ხელმძღვანელობის/მართვის ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

- ✓ სასურველია, თდასუ-მ უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბოს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა. ჩართოს და გაუზიაროს ის ყველა დაინტერესებულ მხარეს.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებთან და პროცედურებთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხების არ არსებობა ინტერვიუების დროს განიმარტებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობიდან წასვლით.

თდასუ-ს მიერ წარმოდგენილი იქნა სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ზოგადი სახით ითვალისწინებს რამდენიმე ასპექტს, მათ შორის - მატერიალურ რესურსს, ადამიანურ რესურსს და ა.შ. თუმცა გამოვლინდა, რომ არც შემუშავების და არც განსაზღვრის პროცესში არ იყო ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა და ამ ყველაფერზე რექტორი იღებდა გადაწყვეტილებას.

თდასუ-ში არსებობს შიდა ხარისხის შეფასების სისტემა, თუმცა არ არსებობს ხარისხის შეფასების ვალიდური ინსტრუმენტები და შეფასების ეფექტური მექანიზმები. ჩატარებული კვლევები აღნიშნული ხარვეზების გამო არ არის სანდო და ვალიდური. ის არ აძლევს უსდ-ს საჭიროებებზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას ადმინისტრაციულ, აკადემიურ და სტუდენტურ სერვისებთან დაკავშირებით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არსებული კვლევის შედეგები არ არის გაზიარებული ფაკულტეტის საბჭოსთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალსა და ადმინისტრაციის სხვა რგოლებთან; ვერც ერთი რგოლის რესპონდენტმა ვერ გაიხსენა ხარისხის სამსახურის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით განხორციელებული ცვლილება. ასევე სიმპტომურია, რომ კვლევების ხსნებისას რესპონდენტებს ეგონათ, რომ სტუდენტების მოსწრებაზე იყო საუბარი.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ „ხარისხის განვითარების მექანიზმის კითხვარში“ საუბარია აკადემიური მოსწრების მონიტორინგზე, არც ფაკულეტეტის საბჭოს, არც ფაკულტეტის მენეჯერებს და არც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს არ აქვს ამის შესახებ ინფორმაცია.

ზემოთ განხილული გარემოებებიდან გამომდინარე, უსდ-ში ბიზნესუწვეტობა ვერ დასტურდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- ✓ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიურები;
- ✓ მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები;
- ✓ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუები;
- ✓ უმაღლესი განათლების ფაკულტეტის საბჭოს წარმომადგენლებთან ინტერვიუ;
- ✓ თდასუ-ს მიერ წარმოდგენილი კითხვარები და კვლევის ანგარიშები;
- ✓ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

- ✓ გადაიხედოს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;
- ✓ შემუშავდეს და დაინერგოს ხარისხის შეფასების ვალიდური ინსტრუმენტები;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართოს ყველა დაინეტრესებული მხარე.
- ✓ გადაიხედოს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;
- ✓ შემუშავდეს და დაინერგოს ხარისხის შეფასების ვალიდური ინსტრუმენტები;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩაერთოს ყველა დაინეტრესებული მხარე;
- ✓ გადაიხედოს სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია, მისი შემუშავების და იმპლემენტაციის პროცესში უზრუნველყოფილ იქნას ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა;
- ✓ თდასუ-მ უზრუნველყოს ბიზნეს პროცესების უწყვეტობის ეფექტიანი გეგმის შემუშავება და იმპლემენტაცია.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

- ✓ უსდ-მ გამოიყენოს მონაცემთა ტრიანგულაციის მეთოდი, რათა ანალიზის შედეგები იყოს მეტად ინფორმატიული.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- ○ უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- ○ უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- ○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თდასუ-მ წარმოადგინა საავტორო უფლებების დაცვის, პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების,

პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები. უსდ-ს ასევე აქვს უნივერსიტეტში მოქმედი ეთიკის სტანდარტი. თუმცა უნდა აღნიშნოს, რომ პრაქტიკაში ეთიკის სტანდარტის მუშაობა ვერც ინტერვიუებით და ვერც სხვა წყაროებით ვერ დასტურდება. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო უნივერსიტეტმა შეიძინა პლაგიატის იდენტიფიკაციისათვის დამხმარე პროგრამა, რაც დასტურდება ინტერვიუებით და შესაბამისი დოკუმენტებით, თუმცა ინტერვიუებში გამოვლინდა, რომ ჯერ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან არ დაწყებულა პლაგიატის და აკადემიური კეთილსინდისიერების მიმართულებით მუშაობა. რექტორმა საუბრისას აღნიშნა, რომ იგეგმება ტრენინგების ჩატარება შესაბამისი სამიზნე ჯგუფებისათვის. უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს, რაც არაერთგზის აღინიშნა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებზე, განსხვავებით სტუდენტებისაგან, რომლებიც არ არიან ამის შესახებ ინფორმირებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). ✓ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიურები; ✓ მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები; ✓ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუები; ✓ ინტერვიუს შედეგები უმაღლესი განათლების ფაკულტეტის საბჭოს წარმომადგენლებთან; ✓ წარმოდგენილი კითხვარები და კვლევის ანგარიშები; ✓ ხარისხის განვითარების მექანიზმის შესახებ დოკუმენტი; ✓ საავტორო უფლებების დაცვის, პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ✓ თდასუ-მ უზრუნველყოს ეთიკის სტანდარტის ეფექტიანი იმპლემენტაცია; ✓ მოხდეს სტუდენტების ინფორმირება, მათი ცნობიერების ამაღლება აკადემიური თავისუფლების პრინციპის შესახებ.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ✓ სასურველია, უსდ-მ უფრო აქტიურად უზრუნველყოს პლაგიატის რაობის შესახებ სტუდენტებისა და აკადემიური და მოწვეული ლექტორების ინფორმირება და დამხმარე რესურსები.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დაგემვის, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების, პროგრამის გაუქმების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები. დოკუმენტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედების შემდეგ მასში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე ერთ კვირით ადრე, თუმცა მსგავსი პრაქტიკა ფაქტობრივად არ დასტურდება. ცვლილებები, რომლებიც 2016 წლიდანაა პროგრამაში შესული, ძირითადად საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულებას ემსახურებოდა, ხოლო პროგრამის გაუმჯობესებისათვის სხვა ტიპის ცვლილებები არ განხორციელებულა. პროგრამების შემუშავებაში და განვითარებაში ფართო ჩართულობა ნაკლებია. ინტერვიუებიდან დგინდება, რომ დამსაქმებლები მეტ-ნაკლებად იყვნენ პროგრამების შემუშავებაში ჩართულები (მიმართულებების მიხედვით). სტუდენტები ვერ იხსნებენ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებულ ცვლილებებს, რომლებიც მათი გამოკითხვის შედეგად განხორციელდა. მოწვეული და აკადემიური პერსონალი მიიჩნევს, რომ პროგრამაში მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებების შეტანის იცინირებაა დაშვებული. პროგრამების ხელმძღვანელები აღნიშნავენ, რომ ცვლილებები ძირითადად პროგრამებში სახელმძღვანელოების შეცვლას უკავშირდება. შრომის ბაზრის კვლევა არ განხორციელებულა. სასწავლო უნივერსიტეტი სარგებლობს სხვა კვლევითი რესურსებით (სხვა უსდ-ების მიერ ჩატარებული კვლევები). დაბალია პროფესიულ ასოციაციებთან თანამშრომლობის მაჩვენებელიც. ზოგიერთ პროგრამაზე მსგავსი პრაქტიკა საერთოდ არ არსებობს (ინგლისური ფილოლოგია, სტომატოლოგია). კურსდამთავრებულები უნივერსიტეტთან შემდგომ თანამშრომლობას არ ადასტურებენ. მათ პროგრამასთან დაკავშირებით გააჩნიათ კონკრეტული შენიშვნები (პრაქტიკის ნაკლებობა, სახელმძღვანელოების სიძველე), თუმცა უკუკავშირის მიცემის შესაძლებლობა არ ჰქონიათ. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა კანონიერ ინტერესებს და სტუდენტს აძლევს პროგრამის შეუფერხებლად დასრულების შესაძლებლობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). ✓ რექტორის ბრძანება №086/01 (2017 წლის 30 დეკემბერი) შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურების დამტკიცების შესახებ; ✓ ინტერვიუს შედეგები: უმაღლესი განათლების ფაკულტეტის საბჭოს წარმომადგენლებთან, დეკანის მოადგილესთან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და

დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ✓ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, პროგრამებში ცვლილების განხორციელებისა და განახლების პროცესში სტუდენტების, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების აქტიური ჩართულება; ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირება პროგრამაში ცვლილების „კანონმდებლობით დაშვებული შესაძლებობების“ შესახებ; ✓ პროფესიულ გაერთიანებებთან მემორანდუმების გაფორმება, თანამშრომლობის დამყარება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში; ✓ დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობა.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
○ პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ○ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობის და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის სახელმძღვანელო პრინციპები. პროგრამის სწავლის შედეგები მეტწილად ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, თუმცა დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის ნაკლებობა უნარებისა და კომპეტენციების ნაწილში ვერ იძლევა მისანიჭებელი კვალიფიკაციის დონეს. პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს მისი შემადგენელი ყველა კომპონენტის ლოგიკურ კავშირს და საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას გონივრულ ვადაში. პროგრამები უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის არასავალდებულო კომპონენტების არჩევის შესაძლებლობას, თუმცა, რიგ შემთხვევებში, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხრიდან ფიქსირდება ნეგატიური დამოკიდებულება პროგრამის სავალდებულო საუნივერსიტეტო საგნების მიმართ

(მაგალითად, საქართველოს ისტორიის სწავლა სავალდებულოა სტომატოლოგიის დიპლომამდელი განათლების და ბიზნესის და ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის).

ვებგვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების 2015-2016 წლების კატალოგი და ბიზნესის და სამართლის სამაგისტრო პროგრამები.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სწავლა-სწავლების მეთოდები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა პროგრამებში მითითებული სწავლების ყველა მეთოდის პრაქტიკაში გამოყენება არ დასტურდება. მაგალითად, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი, რომელიც მითითებულია ბიზნესის ადმინისტრირების და ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამებში, სამართლის სამაგისტრო პროგრამაში და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაში, პრაქტიკულად არ გვხვდება სილაბუსებში. სწავლების ზემოაღნიშნულ მეთოდს არასწორად განმარტავს აკადემიური პერსონალი. ვერ დასტურდება სპეციალური სწავლების ჩატარების ფაქტი. სტომატოლოგიის პროგრამაში მწირია პრაქტიკული მუშაობის კომპონენტი.

უნივერსიტეტს აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა პრაქტიკაში მისი გამოყენება ჯერჯერობით არ დასჭირვებია (გარდა მობილობით გადმოსული სტუდენტებისა).

სასწავლო სილაბუსებში სახელმძღვანელოები რიგ შემთხვევებში ძველია იმის მიუხედავად, რომ ბიბლიოთეკაში კონკრეტული მიმართულებების უფრო ახალი სახელმძღვანელოებიცაა განთავსებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- ✓ რექტორის ბრძანება №083/01 (2017 წლის 30 დეკემბერი) შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და მომსახურების წესის დამტკიცების შესახებ;
- ✓ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
- ✓ ინტერვიუს შედეგები უმაღლესი განათლების ფაკულტეტის საბჭოს წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

- ✓ პროგრამით გათვალისწინებული სწავლების მეთოდების იმპლემენტაცია;
- ✓ სასწავლო პროგრამებში სახელმძღვანელოების განახლება;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების მეტი საჯაროობის უზრუნველყოფა - ვებ-გვერდზე განთავსდეს ყველა საგანმანათლებლო პროგრამა;
- ✓ სტომატოლოგიის პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება;

- ✓ პროგრამასა და მემორანდუმებში დაზუსტდეს სტუდენტების სამედიცინო ბაზებზე პრაქტიკული მუშაობის შინაარსი, მიეთითოს კონკრეტული ვალდებულებები და უფლებები და მოხდეს მათი იმპლემენტაცია.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

- ✓ საუნივერსიტეტო კლინიკის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და ფუნქციონირება;
- ✓ ვებგვერდზე საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლება.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისად და მოიცავს ხუთი სახის შეფასებას:

(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კრედიტის მინიჭების წინაპირობად განსაზღვრულია მინიმუმ მინიმუმ 51 ქულა, ხოლო შეფასების ფორმები და მეთოდები ასახულია სილაბუსებში და განსხვავდება სასწავლო კურსის სპეციფიკის შესაბამისად.

შეფასების ფორმები მეტწილად არ ითვალისწინებს თანამედროვე მიდგომებს. სტომატოლოგიის პროგრამაში გამოკითხვის და შეფასების არსებული მეთოდები ვერ ზომავს სტუდენტის

პრაქტიკული უნარების განვითარების დონეს, თუმცა შეფასების არსებული სისტემა სტუდენტებისადმი თანასწორ მიდგომას უზრუნველყოფს. სხვა საგანმანათლებლო პროგრამებშიც სუსტია კავშირი სწავლის შედეგებსა და შეფასების იმ მეთოდებს შორის, რომელთა გამოყენებით უნდა დადგინდეს სწავლის შედეგების მიღწევის დონე. სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და გაწერილია სილაბუსებში. სტუდენტები ინფორმირებულები არიან თდასუ-ში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ, თუმცა დაწესებულებაში შეფასების გასაჩივრების სისტემის არსებობა ვერ დადასტურდა (ვერც დოკუმენტურად და ვერც ინტერვიუების საშუალებით). სტუდენტები ნაკლებად არიან ინფორმირებულები საკუთარი აკადემიური შეფასებების, მისი ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). ✓ სწავლის შედეგების შეფასების სისტემები სასწავლო სილაბუსებში; ✓ საგანმანათლებლო პროგრამები; ✓ ინტერვიუს შედეგები საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ✓ შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა; ✓ შეფასების გასაჩივრების ეფექტური სისტემის შემუშავება და ამოქმედება; ✓ სწავლის შედეგების შესაბამისი შეფასების მეთოდების დანერგვა; ✓ სტუდენტთა შეფასებების, მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდა.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: თდასუ-ს შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 2017 წლის 30 დეკემბრის N 085/01 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სამუშაოსთან დაკავშირებული წესები, სამუშაო ადგილზე გამოცხადება, შრომითი ურთიერთობის დაწყება და დასრულება, პერსონალის განვითარება, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი და სხვ. აკადემიური პერსონალის შესაბამის თანამდებობებზე არჩევის პროცესს განსაზღვრავს „აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისიის დებულება“, რომელიც დაწესებულებას არ წარმოუდგენია არც მონიტორინგის ვიზიტამდე და არც მის პროცესში, თუმცა განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე (https://www.tdasu.edu.ge/uploads/files/42489konkursi.pdf). აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია კონკურსის შესახებ, წარმოსადგენი საბუთები, კონკურსის პირობები და ვადები, საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი, მისი მიზანი და ფუნქციები. ადმინისტრაციული თანამდებობებისთვის კადრების შერჩევის პროცესს არეგულირებს თდასუ-ს „ადმინისტრაციულ თანამდებობაზე თანამშრომელთა შერჩევისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის წესი“. მასში წარმოდგენილია აღნიშნულ პროცესში საქმისწარმოების სამსახურის ფუნქციები და მოვალეობები, კონკურსის გამოცხადებასთან და თანამშრომელთა შერჩევის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სხვ., თუმცა, როგორც ვიზიტის დროს გაირკვა, 2019 წლის იანვარში ადმინისტრაციულ თანამდებობზე ახალი კადრების შერჩევა და დანიშვნა არ მომხდარა აღნიშნული წესის მიხედვით. რეკომენდებულია, შემუშავდეს და დაინერგოს ანალოგიური ხასიათის პროცედურა, რომელიც დაარეგულირებს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების (შერჩევის ან დანიშვნის) პროცესს და მას მეტ გამჭვირვალობას და ობიექტურობას შესძენს. აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც ინტერვიუებმა ცხადყო, თდასუ-ს ფაკულტეტის საბჭოში არჩევაც არ ხდება წინასწარ განსაზღვრული წესის მიხედვით, რაც ასევე შესაბამისი პროცედურით უნდა განისაზღვროს. ინტერვიუების საფუძველზე უნდა ითქვას, რომ თდასუ-ში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობენ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, ფაკულტეტის საბჭოს წევრები, თუმცა მათი ნაწილი არ ფლობს უახლეს ინფორმაციას უმაღლესი განათლების მიმართ არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების შესახებ, რაც უარყოფითად აისახება სასწავლო პროცესის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფაზე (მაგალითად, ფაკულტეტის საბჭოს წევრებს და თვით

პროგრამის ხელმძღვანელსაც კი ჰგონიათ, რომ აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებში გარკვეული ცვლილებების შეტანას კრძალავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომ გაუმართლებელია სტუდენტების მოსაზრებების გათვალისწინება და სხვ.). აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია აკადემიური პერსონალის სისტემატური და თანმიმდევრული ინფორმირება უმაღლესი განათლების მიმართ არსებული უახლესი საკანონმდებლო მოთხოვნების, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესახებ.

2018 წლიდან თდასუ-ში შემუშავებულია აკადემიური პერსონალის აფილირების წესი, რომელშიც ჩამოყალიბებულია პერსონალის კუთვნილებასთან - აფილირებასთან დაკავშირებული პროცედურები და პირობები.

თდასუ-ს შიდა რეგულაციების თანახმად, საქმისწარმოების სამსახურს ევალება „დასაქმებულთა სხვადასხვა ტიპის კვლევა, მათთვის საჭიროებების დადგენისა და შესაბამისი განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების დასაგეგმად“ („პერსონალის მართვის პოლიტიკა“, მუხლი 3, 26). სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა არ დაადასტურა პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (საინფორმაციო სემინარი, ტრენინგი და სხვ.). აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია პერსონალის პროფესიული განვითარების სტრატეგიის - პერსონალის მართვის პოლიტიკის მიზანმიმართული და თანმიმდევრული იმპლემენტაცია.

სამსახურეობრივი მოვალეობების სანიმუშოდ შესრულების შემთხვევაში, თდასუ-ს პერსონალისთვის გათვალისწინებულია წახალისების რამდენიმე ფორმა: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება ან თანამდებობრივი სარგოს ამაღლება („პერსონალის მართვის პოლიტიკა“, მუხლი 3, 23). პერსონალის მართვის პოლიტიკის შემდგომი სრულყოფის მიზნით, რეკომენდებულია ისეთი პროცედურის შემუშავება და დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების სწრაფ და ეფექტიან ჩართვას სამუშაო პროცესში. ეს განსაკუთრებით აქტუალურია იმ მასშტაბური საკადრო ცვლილებების ფონზე, რომელიც განხორციელდა დაწესებულებაში 2019 წლის იანვარში. ის ფაქტი, რომ მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტებს შეხვდათ გარკვეული სირთულეები როგორც საჭირო დოკუმენტების, ისე ზეპირსიტყვიერი ინფორმაციის მოპოვების პროცესში, ადასტურებს სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის პროცედურის მნიშვნელობას და საჭიროებას.

თდასუ-მ წარმოადგინა 2018 წლის 18 სექტემბერის სტატისტიკური მონაცემები აკადემიური პერსონალის ასაკისა და სქესის მიხედვით განაწილების შესახებ. სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ანალოგიური სტატისტიკური მონაცემების შეგროვება მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შესახებაც.

მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე, თდასუ-მ წარმოადგინა 2018 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული პერსონალის გამოკითხვის ანალიზი და იმ ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელთა გატარებასაც გეგმავს გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად (მაგალითად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, ბიბლიოთეკის შევსება ახალი წიგნადი ფონდით, უნივერსიტეტის ვებგვერდის ინფორმატიულობის ზრდა, ტრენინგების, შეხვედრების, სემინარების, კონფერენციების მოწყობა და აკადემიური პერსონალის ინტენსიური ჩართვა ამ პროცესებში, კვლევების ჩასატარებლად ინფრასტრუქტურის სრულყოფა და სხვ.). ასევე მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე მოხდა თდასუ-ს ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებისა და სამუშაოს აღწერილობების წარმოდგენა. სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური და დამხმარე პერსონალის ფუნქცია-

მოვალეობებისა და სამუშაოს აღწერილობების შემუშავება. თდასუ-ს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეების შეფასების შედეგად დადგინდა, რომ მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან, თუმცა ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ ცალკეულ თანამდებობზე (მაგ. დეკანის მოადგილე, უმაღლესი განათლების ფაკულტეტის მენეჯერი, სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახურის მენეჯერი) დასაქმებული ადამიანები რეალურად არ ასრულებდნენ იმ ფუნქციებს, რაც განსაზღვრული იყო მათი პოზიციისთვის და ისინი არც იყვნენ ინფორმირებული რეალური ფუნქციების შესახებ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის ვიზიტის დროს მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტებს დაწესებულება დახვდათ კონკურსის პროცესში. კერძოდ, ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო თანამდებობიდან გათავისუფლდა 18 პირი, რომელთაც მანამდე ეკავათ პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტის აკადემიური თანამდებობები და მათგან 8 დაინიშნა მოწვეულ სპეციალისტად. ამავე პერიოდში გატარდა საკადრო ცვლილებები ადმინისტრაციულ სფეროშიც, რომელთა შესახებ ზემოთ უკვე აღნიშნულია (იხ. მეორე სტანდარტის შეფასება).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). ✓ თდასუ-ს რექტორის 2017 წლის 30 დეკემბრის N 085/01 ბრძანება „შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტისპერსონალის მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“; ✓ შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისიის დებულება; ✓ შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი; ✓ შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე თანამშრომელთა შერჩევისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის წესი; ✓ რექტორის 2019 წლის 25 იანვრის N 011/01/6 ბრძანება „შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ“; ✓ რექტორის 2019 წლის 25 იანვრის N 012/01/6 ბრძანება „შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში მოწვეული პერსონალის დანიშვნის შესახებ“; ✓ ინტერვიუები აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებთან;
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ✓ ფაკულტეტის საბჭოში წევრების არჩევის პროცედურის შემუშავება და ამოქმედება; ✓ „ადმინისტრაციულ თანამდებობაზე თანამშრომელთა შერჩევისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის წესის“ მიზანმიმართული და თანმიმდევრული იმპლემენტაცია;

- ✓ პერსონალის პროფესიული განვითარების სტრატეგიის - პერსონალის მართვის პოლიტიკის მიზანმიმართული და თანმიმდევრული იმპლემენტაცია;
- ✓ სპეციალური პროცედურის შემუშავება და დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების სწრაფ და ეფექტიან ჩართვას სამუშაო პროცესში.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

- ✓ დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების (შერჩევის ან დანიშვნის) პროცედურის შემუშავება და ამოქმედება, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას;
- ✓ აკადემიური და დამხმარე პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებისა და სამუშაოს აღწერილობების შემუშავება;
- ✓ აკადემიური პერსონალის სისტემატური და თანმიმდევრული ინფორმირება უმაღლესი განათლების მიმართ არსებული უახლესი საკანონმდებლო მოთხოვნების, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესახებ;
- ✓ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შესახებ.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თდასუ-მ მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტებს წარუდგინა აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის, როგორც აღნიშნულ, ასევე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების დროისთვის პერსონალის ყველა წარმომადგენელს არ ჰქონდა ინფორმაცია სხვა ინსტიტუციებში დატვირთვის შესახებ, რის გამოც მონიტორინგის ჯგუფის წევრებს საშუალება არ მიეცათ შეეფასებინათ პერსონალის დატვირთვის სრული სურათი, თუმცა წარმოდგენილი, არასრული დოკუმენტის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თდასუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა - მასზე დაკისრებული პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე - გონივრულია (არ აღემატება კვირეულ 30 საათს) და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

ცნობილია, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა უკავშირდება მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხს. სწავლებისა და კვლევის ხარისხის მუდმივად განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია, რომ პერსონალის საერთო დატვირთვა არ აღემატებოდეს კვირეულ 40 საათს. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სრულყოფილი და მუდმივი მონიტორინგი.

თდასუ-ში შემუშავებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 2017 წლის 30 დეკემბრის N 082/02/1 ბრძანებით და რომელშიც განსაზღვრულია პერსონალის რაოდენობის მიმართებები სტუდენტთა კონტიგენტთან, საგანმანათლებლო პროგრამების და მათ ფარგლებში დაგეგმილი აკადემიური საათების რაოდენობასთან. ამავე დოკუმენტში მოცემულია ადამიანური რესურსის სამიზნე ნიშნულები (აკადემიური/მოწვეული პერსონალის და სტუდენტების თანაფარდობაა 3/20, ხოლო მოწვეული პერსონალის თანაფარდობა - აკადემიურ პერსონალთან 7/9). აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის პროცესში, რეკომენდებულია, გათვალისწინებულ იქნას აგრეთვე ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სტუდენტთა არსებული და მისაღები კონტიგენტი, პროგრამის სპეციფიკა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

თდასუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს დაწესებულების საქმიანობასთან (მათ შორის პერსონალთან) დაკავშირებული სხვადასხვა სამიზნე ნიშნულის შემდგომ მოდიფიკაციას, რაც შეიძლება ჩაითვალოს დაწესებულების მცდელობად, იზრუნოს თავისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიან წარმართვაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, 2018 წლიდან თდასუ-ში შემუშავებულია აკადემიური პერსონალის აფილირების წესი, რომელშიც ჩამოყალიბებულია პერსონალის კუთვნილებასთან - აფილირებასთან დაკავშირებული პროცედურები და პირობები, თუმცა მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებას არ ჰყავდა აფილირებული პერსონალი, რაც განმარტებულ იქნა სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული საკადრო ცვლილებით და აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად მიმდინარე კონკურსით. რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის აფილირების საკანონმდებლო მოთხოვნის დროულად და ჯეროვნად შესრულება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასურველია, დაწესებულებამ დაადგინოს წახალისების გარკვეული მექანიზმები, რათა საუკეთესო კადრებს გაუჩნდეთ თდასუ-სთან აფილირების დამატებითი მოტივაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- ✓ უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვა 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში;
- ✓ შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი;
- ✓ რექტორის 2018 წლის 30 დეკემბრის N 082/01/1 ბრძანება „შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
- ✓ ინტერვიუები ფაკულტეტის საბჭოს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

- ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სრულყოფილი და მუდმივი მონიტორინგი;
- ✓ აკადემიური პერსონალის აფილირების საკანონმდებლო მოთხოვნის დროულად და

ჯეროვნად შესრულება;

- ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის პროცესში სტუდენტთა არსებული და მისაღები კონტიგენტის, პროგრამის სპეციფიკის და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

- ✓ წახალისების გარკვეული მექანიზმების შემუშავება, რათა საუკეთესო კადრებს გაუჩნდეთ თდასუ-სთან აფილირების დამატებითი მოტივაცია.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თდასუ-ში სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის წესი განსაზღვრულია დაწესებულების შინაგანაწესით, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, საჯარო და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. იგი განთავსებულია ვებგვერდზე და სტუდენტები ინფორმირებულები არიან მის შესახებ. დაწესებულებასა და სტუდენტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები არის ზოგადი ხასიათის და არ ასახავს სტუდენტის უფლება-მოვალეობებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. თუმცა ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ უსდ-ში მოქმედი „საორგანიზაციო სამართლებრივი აქტები“ წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მეტ-ნაკლებად იცნობდნენ დაწესებულებაში მოქმედ რეგულაციებს. ინტერვიუებისას მათ, ასევე, დაადასტურეს, რომ თდასუ-ში სწავლის დასაწყისში დაწესებულების წარმომადგენელმა მათ გააცნო უსდ-სა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინტერვიუ წარიმართა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებთან და ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამიდან უსდ-მ

ვერ უზრუნველყო სტუდენტის მოწვევა. ასევე შედგა გასაუბრება კურსდამთავრებულებთან (წინა ავტორიზაციების ფარგლებში). აღსანიშნავია, რომ ინტერვიუები ჩატარდა სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებთანაც, თუმცა მისი წევრები ოფიციალურად არ არიან არჩეული სტუდენტების მიერ და დაწესებულებამ განმარტა, რომ მათი ოფიციალური არჩევა მოხდებოდა სასწავლო სემესტრის დაწყების შემდგომ.

რაც შეეხება სტუდენტთა უფლებების დაცვის მექანიზმს, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის დოკუმენტი. თდასუ-ს წარმომადგენლებთან საუბრისას დადგინდა, რომ მათ ოფიციალური საჩივარი არ აქვთ მიღებული (თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, 2019 წლის 21 იანვრიდან წამყვან თანამდებობზე ახალი კადრებია დანიშნული და, შესაძლებელია, ისინი არ ფლობდნენ სათანადო ინფორმაციას). სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის ფაქტი არც სტუდენტებს აღუნიშნავთ. სტუდენტებს აქვთ წარმოდგენა არაფორმალურად ვის შეიძლება მიმართონ პრობლემის შემთხვევაში, თუმცა ფორმალური პროცედურების შესახებ ნაკლებად არიან ინფორმირებული. შესაბამისად, რეკომენდირებულია დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტის სტუდენტებისათვის გაცნობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- ✓ თდასუ-ს შინაგანაწესი;
- ✓ დოკუმენტი სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერსების დაცვის შესახებ;
- ✓ დაწესებულების ვებგვერდი;
- ✓ თდასუ-სა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
- ✓ სტუდენტებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

- ✓ დაწესებულების მიერ შემუშავებული სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერსების დაცვის შესახებ დოკუმენტის გაცნობა სტუდენტებისათვის.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.

- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თდასუ-მ წარმოადგინა სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების განრიგი. ინტერვიუებისას სტუდენტებმაც დაადასტურეს, რომ იღებენ სათანადო ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით. ინტერვიუს პროცესში ისინი ასახელებდნენ კონკრეტულ პიროვნებას, ვისთანაც მიდიოდნენ სხვადასხვა საკითხის დაზუსტების მიზნით, თუმცა, ექსპერტების მცდელობის მიუხედავად, ვერ დადგინდა თუ რა თანამდებობა ეკავა ამ პირს (ანუ რომელი თანამდებობის პირი უწევდა სტუდენტებს საკონსულტაციო მომსახურებას).

დაწესებულებამ, ასევე, წარმოადგინა დოკუმენტი, სადაც გაწერილია სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობები, რომლებიც, ძირითადად, მოიცავს საჯარო ლექციებს. ჯერჯერობით არ ჩატარებულა დასაქმების ფორუმი. თდასუ-ში სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის ფუნქციები, ისევე როგორც ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები გაწერილია სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციების სამსახურის დებულებაში (გვ. 3). თუმცა, როგორც აღნიშნული სამსახურის წარმომადგენელთან გასაუბრებისას დადგინდა, იგი არ იყო ინფორმირებული დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესახებ. დაწესებულების ხელმძღვანელობამაც დაადასტურა, რომ მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში თდასუ-ს არ ჰყავდა კონკრეტული პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა სტუდენტთა კარიერულ განვითარებაზე. შესაბამისად, შეფასების პროცესში დადგინდა, რომ თდასუ ვერ უზრუნველყოფს სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციების სამსახურის დებულებით გაწერილი ფუნქციების შესრულებას. რეკომენდირებულია თდასუმ გაატაროს შესაბამისი ზომები - გამოყოს კონკრეტული პირი, რომელიც უზრუნველყოფს დამსაქმებელთა ბაზის შექმნას, მათთან კომუნიკაციას და სტუდენტებისათვის აღნიშნული ინფორმაციის დროულ და ეფექტიან მიწოდებას.

რაც შეეხება სტუდენტთა გამოკითხვებს, დაწესებულებამ წარმოადგინა ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, სტუდენტებმაც აღნიშნეს, რომ პერიოდულად იღებენ გამოკითხვებში მონაწილეობას, თუმცა არ იღებენ უკუკავშირს მათ მიერ გაკეთებულ შეფასებასთან და გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით. რეკომენდირებულია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს სტუდენტების პოზიცია როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული საქმიანობის გაუმჯობესების პროცესში, აგრეთვე უზრუნველყოს უკუკავშირი სტუდენტებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გატარებული ზომების შესახებ.

რაც შეეხება საერთშორისო აქტივობებს, თდასუ-მ წარმოადგინა საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, სადაც საუბარია საერთაშორისო კონფერენციებზე, რაც სტუდენტებმაც დაადასტურეს.

მიუხედავად იმისა, რომ მემორანდუმებში ლაპარაკია გაცვლით პროგრამებზე, ამ ეტაპზე თდასუ-ში არც ერთი გაცვლითი პროგრამა არ მოქმედებს, რაც სტუდენტების უკმაყოფილებას იწვევს. რეკომენდირებულია თდასუ-ს საერთაშორისო პროფილის გაძლიერება და გაცვლითი პროგრამების ამოქმედება, რაც თავად დაწესებულებას მისიაშიც აღნიშნული აქვს.

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის გარეშე აქტივობების დამადასტურებელი

დოკუმენტაცია და სტუდენტებმაც აღნიშნეს, რომ მეტ-ნაკლებად აქვთ მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობა. თდასუ-მ, ასევე, წარმოადგინა სტუდენტთა სტიმულირების, სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მიზნით სტიპენდიებისა და ფასდაკლებების განსაზღვრის წესი. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ისინი ინფორმირებულები არიან აღნიშნული შეღავათების შესახებ და ზოგიერთი მათგანი ფასდაკლებითაც სარგებლობს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). ✓ სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების განრიგი; ✓ სტუდენტთა კარიერული განვითარების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტი; ✓ სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციების სამსახურის დებულება; ✓ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ✓ სტუდენტური სერვისების დამადასტურებელი დოკუმენტი; ✓ დოკუმენტი განხორციელებული და დაგეგმილი სტუდენტური ინიციატივების შესახებ; ✓ საერთაშორისო თანამშრომობისა და ინტერნაციონალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი; ✓ მემორანდუმები უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; ✓ სტუდენტთა სტიმულირების, სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მიზნით; ✓ სტიპენდიებისა და ფასდაკლებების განსაზღვრის წესი; ✓ სტუდენტებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ✓ სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, თდასუ-მ გაატაროს შესაბამისი ზომები - გამოყოს კონკრეტული პირი, რომელიც უზრუნველყოფს დამსაქმებელთა ბაზის შექმნას, მათთან კომუნიკაციას და სტუდენტებისათვის აღნიშნული ინფორმაციის დროულ და ეფექტიან მიწოდებას; ✓ საერთაშორისო პროფილის გაძლიერების მიზნით თდასუ-მ უზრუნველყოს გაცვლითი პროგრამების ამოქმედება, რაც თავად დაწესებულებას მისიაშიც აღნიშნული აქვს; ✓ თდასუ-მ გაითვალისწინოს სტუდენტების პოზიცია როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული საქმიანობის გაუმჯობესების პროცესში, აგრეთვე უზრუნველყოს უკუკავშირი სტუდენტებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გატარებული ზომების შესახებ;
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: კვლევის სტანდარტის შეფასება მოხდა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ თდასუ არ ახორციელებს სადოქტორო პროგრამებს. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია და ინტერვიუების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია არ იძლევა საკმარის ინფორმაციას უსდ-ში კვლევასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და მისი იმპლემენტაციის შესახებ. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუებზე დაყრდნობით, გამოვლინდა, რომ უსდ-ში სისტემატურად იმართება კონფერენციები, რომლებშიც მონაწილეობენ როგორც ადგილობრივი კადრები, ასევე მოწვეული სტუმრები. კონფერენციაზე წარდგენილი ნაშრომები გამოიცემა ჟურნალის სახით, დაწესებულების ფინანსური მხარდაჭერით. თდასუ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ მის ბაზაზე შექმნილია იურიდიული კვლევების ცენტრი, ბიზნეს კონსალტინგ ცენტრი, აგრეთვე ჯანდაცვის მიმართულებით მიმდინარეობს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებისა და იმუნოსტიმულატორების კვლევა. აღნიშნული შეიძლება ჩაითვალოს თეორიულ წინაპირობად სწავლების, კვლევისა და ეკონომიკის ინტეგრირებისთვის, თუმცა როგორც დაწესებულების მისიის, ისე ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, საჭიროა აღნიშნული ცენტრების ეფექტიანობის ზრდა. ჯერჯერობით აღნიშნული ცენტრების საქმიანობის შედეგები მხოლოდ სამეცნიერო კონფერენციები და შესაბამისი სტატიების კრებულია, რაც არასაკმარისია თუნდაც სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის. აღნიშნულს ისიც ადასტურებს, რომ ერთ-ერთი კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი და იმავდროულად ფაკულტეტის საბჭოს წევრი საუბრობდა ცენტრზე, როგორც სამომავლო გეგმების ნაწილზე, ხოლო დოკუმენტურად და რექტორის განცხადებით, ეს ცენტრი უკვე ფუნქციონირებს. ეს ფაქტი აგრეთვე ცხადყოფს კომუნიკაციის ნაკლებობას აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

უსდ-ში არსებობს სამაგისტრო ნაშრომების კონცეფცია - რაც წინაპირობაა დაწესებულებაში სწავლების და კვლევის ინტეგრაციისთვის (თდასუ-ს მისიის შესაბამისად), თუმცა ვინაიდან მონიტორინგის ვიზიტის დროს სამაგისტრო საფეხურზე ჯერ არც ერთი ნაშრომი არ იყო მომზადებული, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურის და ხელმძღვანელობის ეფექტიანობის შეფასება ვერ მოხერხდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). ✓ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიურები; ✓ მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები; ✓ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუები ✓ უმაღლესი განათლების ფაკულტეტის საბჭოს წარმომადგენლებთან ინტერვიუები; ✓ თდასუ-ს მიერ წარმოდგენილი შეფასებები და კვლევის ანგარიშები; ✓ დოკუმენტი - „საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეაფსება“. ✓ სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი; ✓ დოკუმენტი - „სამეცნიერო კვლევითი მუშაობა“.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ✓ სწავლების, კვლევისა და ეკონომიკის ინტეგრირების მიზნით გაიზარდოს თდასუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების ეფექტიანობა; ✓ თდასუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმინობა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ კონფერენციების ორგანიზებით და მათი მასალების დაბეჭდვით, არამედ აკადემიურმა პერსონალმა თავისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები გამოაქვეყნოს ქართულ და უცხოურ რეფერირებად სამეცნიერო-კვლევით კრებულებში.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ✓ გაუმჯობესდეს კომუნიკაცია აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის ისეთ საკვანძო საკითხზე, როგორიცაა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა; ✓ თდასუ-მ დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შეიმუშაოს და დანერგოს სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის პოლიტიკა; ✓ თდასუ-მ გაატაროს შესაბამისი ზომები, რათა მოხდეს სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესის სათანადო იმპლემენტაცია, რაც უზრუნველყოფს სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციას უსდ-ს მისიისა და ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

როგორც უკვე აღინიშნა, თდასუ-ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანონის მხარდაჭერის მიზნით შექმნილია რამდენიმე კვლევითი ცენტრი, თუმცა მათი საქმიანობა საჭიროებს შემდგომ განვითარებას, დაწესებულების მისიის და ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებას არ წარმოუდგენია დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა სამეცნიერო კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურების არსებობას. მოწვეულმა და აკადემიურმა პერსონალმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ უსდ-ში არსებობს მზაობა მათი კვლევითი საქმიანობის წახალისებისათვის და რომ რექტორთან ამაზე ჰქონიათ საუბარი, თუმცა როგორ და რა ფორმით, ამის შესახებ კონკრეტული ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა.

ვერც დოკუმენტურად და ვერც ინტერვიუების დროს ვერ დადასტურდა, რომ თდასუ ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალს, რომ მოიძიოს ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან დაფინანსების მოპოვების, საგრანტო განაცხადის მომზადების და სხვა ანალოგიური, სამეცნიერო კვლევების მხარდამჭერი საკითხების შესახებ.

ვინაიდან ამ ეტაპზე თდასუ-ში მხოლოდ ერთი სამაგისტრო პროგრამა ფუნქციონირებს, შეზღუდულია სტუდენტების სამეცნიერო კვლევებში ჩართულობა და, ამდენად, ამ ეტაპზე ვერ დგინდება ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისი მოთხოვნის შესრულება, თუმცა მაგისტრანტების სიმცირის პირობებშიც შესაძლებელია მათი მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში.

რაც შეეხება დაწესებულებაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას, ინტერვიუებიდან გამოვლინდა, რომ კვლევითი პროცესის ინტერნაციონალიზაციაში მოიაზრება საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება, აგრეთვე აკადემიური პერსონალის ფინანსური მხარდაჭერა საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებისათვის, თუმცა პუბლიკაციების კონკრეტული მაგალითები პერსონალის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა.

გარდა ამისა, ამ ეტაპზე დასტურდება თანამშრომლობა უკრაინულ უნივერსიტეტებთან, მიუხედავად იმისა, რომ თდასუ-ს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ლიტვის, ირანის, ჩეხეთის რამდენიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომლებიც ითვალისწინებს თანამშრომლობას არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებითაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- ✓ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიურები;
- ✓ მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები;
- ✓ უმაღლესი განათლების ფაკულტეტის საბჭოს წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუები;
- ✓ წარმოდგენილი შეფასებები და კვლევის ანგარიშები;
- ✓ დოკუმენტი - „საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეაფსება“;
- ✓ დოკუმენტი- „სამეცნიერო კვლევითი მუშაობა“;
- ✓ გაფორმებული მემორანდუმები უკრაინის, ლიტვის, ირანის, ჩეხეთის უსდ-ებთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

- ✓ შემუშავდეს და დაინერგოს სამეცნიერო კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურა;
- ✓ თდასუ-მ შეიმუშავოს და დანერგოს სამეცნიერო კვლევების მხარდამჭერი ღონისძიებების/კონსულტირების სისტემა.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

- ✓ სასურველია, თდასუ-მ დაინტერესებული მხარეების ჩართულობით განსაზღვროს კვლევითი პრიორიტეტები და გაუზიაროს ინფორმაცია ყველა სამიზნე ჯგუფს;
- ✓ სასურველია მაგისტრანტების ჩართულობა სამეცნიერო კვლევებში თუნდაც სამეცნიერო კონფერენციებში მათი მონაწილეობის გზით.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან

შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). როგორც უკვე აღინიშნა, თდასუ გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს და ატარებს ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებს, თუმცა არ დასტურდება შესაბამისი კვლევებისა და ნაშრომების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება. მონიტორინგის ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, თდასუ-მ წარმოადგინა პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა, თუმცა როგორც ინტერვიუებიდან გამოირკვა, თავად დაწესებულების პერსონალი არ იცნობს აღნიშნულ წესს და ჯერჯერობით არ მომხდარა მისი გამოყენება. თდასუ-ს არ აქვს გამოქვეყნებული ანგარიში განხორციელებული სამეცნიერო-კვლევების შესახებ, თუ არ ჩავთვლით სამეცნიერო კონფერენციების კრებულებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). ✓ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიურები; ✓ მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები; ✓ უმაღლესი განათლების ფაკულტეტის საბჭოს წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუ; ✓ წარმოდგენილი შეფასებები და კვლევის ანგარიშები; ✓ პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ✓ მოხდეს პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემის ამოქმედება; ✓ პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნას თდასუ-ს საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ✓ გამოქვეყნდეს ანგარში წარმოებული სამეცნიერო-კვლევების შესახებ.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: თდასუ-ს მფლობელობაშია ორ მისამართზე არსებული ფართი: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22 (ნაკვეთი N7/29, შენობა-ნაგებობის საერთო ფართი: 2323.92 კვ.მ.) და ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. N 24 (საერთო ფართი: 578.00 კვ.მ.). პირველ მისამართზე **(ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22, (ნაკვეთი N7/29)** მიმდინარეობს შენობის სარეაბილიტაციო/სარემონტო სამუშაოები, რის გამოც აღნიშნული შენობა ამ ეტაპზე არ ემსახურება საგანმანათლებლო მიზნების რეალიზაციას და არ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და არ აკმაყოფილებს ავტორიზაციის მეშვიდე სტანდარტის მოთხოვნებს. თდასუ-ს აქვს აღნიშნული ფართის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები და შენობის აზომვითი ნახაზები, რომელშიც გამიჯნულია სასწავლო (1239.62/1413.93 კვ.მ.) და დამხმარე ფართი (909.99 კვ.მ). **მეორე მისამართზე (ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. N24. შენობის მე-6 და მე-7 სართული სასწავლო ფართი: 382.72 კვ.მ; დამხმარე ფართი: 193.86 კვ.მ.)** არსებული მატერიალური რესურსი, მოძრავი და უძრავი ქონება ემსახურება დაწესებულების საგანმანათლებლო მიზნების შესრულებას. უსდ-ს აქვს შემდეგი სავალდებულო ფართი: აუდიტორიები/ლაბორატორიები, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფართი და მისი შესაბამისი მატერიალური რესურსი ემსახურება 245 სტუდენტს. სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის (და, მით უფრო, ზღვრულ რაოდენობამდე, 950 სტუდენტამდე გაზრდის შემთხვევაში), ცინცაძის ქუჩაზე შეუძლებელი იქნება ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა. თდასუ-ს აქვს აღნიშნული მისამართის ფართის ფლობის დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და შენობის შიდა აზომვითი ნახაზები, რომლებშიც გამიჯნულია სასწავლო და დამხმარე ფართი. საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, არსებობს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი და პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარი. აუდიტორიები აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით. აუდიტორიებში და ლაბორატორიებში დაცულია უსაფრთხოების ნორმები. თდასუ-ს ორივე სართულზე მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით და სადაც დაცულია სან-ჰიგიენური ნორმები, თუმცა სანიტარული კვანძები არ არის უზრუნველყოფილი სავენტილაციო სისტემით. ფართი

აღჭურვილია გათბობის ცენტრალური სიტემით და მთელ პერიმეტრზე არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

უსდ-ში დაცულია როგორც პერსონალის, ასევე სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, არსებობს მათი უზრუნველყოფისათვის საჭირო ინვენტარი და შემუშავებულია შესაბამისი მექანიზმები.

შენობის ორივე სართულზე, თვალსაჩინო ადგილას დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საევაკუაციო გეგმები, რომლებიც დამტკიცებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ.

სართულებზე არის საევაკუაციო გასასვლელი, კარი იღება შიგნიდან გარეთ, თუმცა არის რკინის. გარდა ამისა, ვიზიტის პროცესში, თავად შენობის საევაკუაციო გასასვლელი დაგმანული იყო სხვადასხვა სამშენებლო მასალით, რის გამოც ვერ მოხერხდა კარის შესაბამისობის დაგენა ავტორიზაციის სატანდარტით განსაზღვრულ უსაფრთხოების ნორმებთან.

თდასუ-ს ჰყავს სამედიცინო პერსონალი. პირველადი დახმარებისთვის სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო დანიშნულების ფართი წარმოადგენს სტომატოლოგიული სასწავლო/პრაქტიკული კაბინეტის ნაწილს.

უსდ-ს გამოყოფილი ჰყავს დაცვის თანამშრომელი. ორივე სართულზე, შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები.

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის. სსმპ პირებს შენობაში გადაადგილება შეუძლიათ ლიფტით. ვიზიტის განხორციელების პირველ დღეს, დაწესებულებაში არ არსებობდა შესაბამისად მოწყობილი სანკვანძი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციამ აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრა ვიზიტის მეორე დღეს.

სსსმ სტუდენტებისთვის არ არსებობს მათ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე ადაპტირებული, პროგრამით/ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან (ასევე ადმინისტრაციასთან) წვდომის შესაძლებლობა.

ამჟამად, თდასუ-ში არ სწავლობს არც ერთი შშმ სტუდენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- ✓ ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
- ✓ საიჯარო ხელშეკრულება;
- ✓ შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზები;
- ✓ აუდიტის დასკვნა მოძრავი ქონების ფლობის შესახებ;
- ✓ კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი ქვითრები;
- ✓ საევაკუაციო გეგმების დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ წესრიგის უზრუნველყოფასა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელ პირთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები;
- ✓ ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ✓ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

თდასუ-მ უზრუნველყოს:

- ✓ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N18-22 მისამართზე მდებარე შენობის შესაბამისობაში მოყვანა ავტორიზაციის სტანდარტთან, რათა შესაძლებელი გახდეს აღნიშნული შენობის გამოყენება საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიზნებისთვის;
- ✓ თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. N24 მისამართზე მდებარე შენობაში მეექვსე და მეშვიდე სართულების საევაკუაციო რკინის კარის შეცვლა ხის მასალისგან დამზადებული კარით, ხოლო თავად შენობის საევაკუაციო გასასვლელი შესაბამისობაში მოვიდეს ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ უსაფრთხოების მოთხოვნებთან.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

- ✓ თდასუ-მ უზრუნველყოს სსსმ სტუდენტებისთვის მათ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე ადაპტირებული პროგრამით/ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან (ასევე ადმინისტრაციასთან) წვდომის შესაძლებლობა.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თდასუ-ს ბიბლიოთეკა მოიცავს შემდეგ სივრცეებს: წიგნთსაცავი, სამკითხველო დარბაზი/აუდიტორია (დაახლოებით 25 ადამინზე, აღჭურვილი კომპიუტერული ტექნიკით, მულტიფუნქციური პრინტერით) და ოთახი ჯგუფური მუშაობისთვის (დაახლოებით 15 ადამიანზე).

კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში. ბიბლიოთეკაში ასევე უზრუნველყოფილია უკაბელო ინტერნეტით სარგებლობა.

დაწესებულებას აქვს როგორც ბეჭდური (22 192 წიგნი) ასევე ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზა. სილაბუსებში მითითებული ძირითადი სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია ცინცაძის ქუჩაზე მდებარე შენობის ბიბლიოთეკაში, თუმცა ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი განთავსებულია რუსთავის გზატკეცილზე მდებარე შემობაში. ინტერვიუირებისას ბიბლიოთეკის პერსონალმა აღნიშნა, რომ სტუდენტების და პერსონალის მოთხოვნის შემთხვევაში, დაწესებულება შეუფერხებლად უზრუნველყოფს წიგნების მოტანას და

მათთვის მიწოდებას, რაც დადასტურდა სტუდენტებთან და პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცინცაძის ქუჩაზე მდებარე შენობაში არსებული საბიბლიოთეკო სივრცე საკმარისია სტუდენტთა არსებული რაოდენობის შემთხვევაში, ხოლო კონტიგენტის ზრდის შემთხვევაში სათანადოდ ვერ მოემსახურება სტუდენტებს.

რაც შეეხება ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსს, სტუდენტებსა და პერსონალს წვდომა აქვთ მხოლოდ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის elFL" ბაზასთან.

ბიბლიოთეკის პერსონალი ეხმარება პერსონალსა და სტუდენტებს ბეჭდური ლიტერატურისა და ელექტრონული რესურსების მოძიებაში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკის მომსახურებით სარგებლობენ ძირითადად სტუდენტები. ბიბლიოთეკის პერსონალის მიერ წარმოდგენილი აღრიცხის თანახმად წლის განმავლობაშია გაცემულია დაახლოებით 800 ერთეული ბეჭდური წიგნი.

წიგნადი ფონდი აღრიცხულია შესაბამის ჟურნალში, ვებგვერდზე განთავსებულია და ლიტერატურის ელექტრონული საძიებო სისტემა. ინტერვიურებისას აგრეთვე აღინიშნა, რომ „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათივს - elFL" ბაზა არ იძლევა სტუდენტებისა და პერსონალის მიერ ამ ბაზით სარგებლობის სტატისტიკის წარმოების შესაძლებლობას. ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სტუდენტების და პერსონალის მხოლოდ მცირე ნაწილი სარგებლობს იმ საერთაშორისო საბიბლიოთეკო რესურსით, რომელიც ხემისაწვდომია „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათივს - elFL" ბაზის საშუალებით.

თდასუ-ს ბიუჯეტში მუხლში „ბიბლიოთეკის ხარჯი" გათვალისწინებული იყო 4 500 ლარი, ფაქტობრივად ხარჯმა შეადგინა 4 718.10 ლარი, 218.18 ლარით მეტი, მათ შორის: საბიბლიოთეკო ქსელის მომსახურებაზე დაიხარჯა 1 200 ლარი და განხორციელდა 3 518.09 ლარის ღირებულების ბეჭდული წიგნის შეძენა. 2019 წელს აღნიშნული მიზნისთვის გათვალისწინებულია 1 000 ლარით ნაკლები ხარჯი - 3 500 ლარი.

ვერ მოხერხდა ბოლო 5 წლის განმავლობაში საბიბლიოთეკო რესურსების (ასევე სხვა ხარჯების) უზრუნველყოფასა და განვითარებაზე გამოყოფილი ბიუჯეტის ანალიზი, რადგან დაწესებულებამ წარმოდგინა ხარჯების დაფინანსების დინამიკა მსხვილი მუხლების მიხედვით. წარმოდგენილია მხოლოდ 2016 წლის მუხლობრივად ჩაშლილი ბიუჯეტი, რომელშიც დაფიქსირებულია, რომ ბიბლიოთეკის ფონდის შესავსებად გათვალისწინებული იყო 52 700 ლარი.

როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, ისინი სარგებლობენ როგორც ბეჭდური წიგნადი ფონდით, ასევე, ლიტერატურის ელექტრონული რესურსით, იყენებენ ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობისათვის გამოყოფილ სივრცეს. ინტერვიუებმა წარმოაჩინა, რომ აკადემიური პერსონალი ნაკლებად სარგებლობს საბიბლიოთეკო რესურსით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- ✓ წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია;
- ✓ ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგი;
- ✓ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- ✓ ააიპ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმთან დადებული ხელშეკრულება ,,ელექტრონული ინფორმაცია

ბიბლიოთეკებისათვის - elFL” ელექტრონულ ბაზებთან წვდომის შესახებ;
- ✓ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, ინსტრუქციები;
- ✓ სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან, ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან ინტერვიუს შედეგები;
- ✓ ვიზუალური დათვალიერების შედეგები;

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

თდასუ-მ უზრუნველყოს:

- ✓ რუსთავის გზატკეცილი N18-22 მისამართზე მდებარე შენობიდან იმ სახელმძღვანელოების გადმოტანა და სულხან ცინცაძის ქ. N24 მისამართზე მდებარე შენობაში არსებულ ბიბლიოთეკაში განთავსება, რომლებიც სტატისტიკურად მოთხოვნადია როგორც სტუდენტების, ასევე პერსონალის მიერ, რაც ხელს შეუწყობს, წიგნადი ფონდის ხელმისაწვდომობის ზრდას;
- ✓ ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსების აქტიური გამოყენების უზრუნველყოფა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

- ✓ საბიბლიოთეკო რესურსების გამდიდრება თანამედროვე, მიმდინარე სასწავლო პროგრამების შესაბამისი ახალი ბეჭდური გამოცემებით;
- ✓ ელექტრონული რესურსების ახალ ბაზებთან წვდომის გაზრდა;

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- ○ უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ○ ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- ○ უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თდასუ-ის ინფორმაციული ტექნოლოგიები (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი), მუდმივად და სტაბილურად ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

დაწესებულებაში დანერგილია სტუდენტთა მოსახურების ელექტრონული სისტემა, თუმცა არ არსებობს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა.

თდასუ-ს ოფიციალური ვებგერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

მხოლოდ ქართულ ენაზე. არ არსებობს მისი შესატყვისი ინგლისურენოვანი ინფორმაცია (თუ არ ჩავთვლით რექტორის პროფილს). ვებგვერდზე განთავსებულია უსდ-ს მისია, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, პროგრამები და ამ პროგრამაზე სტუდენტების შერჩევის კრიტერიუმები, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცედურები, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები. ვებგვერზე განთავსებულია აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის ჩამონათვალი, თუმცა ინფორმაცია მათ შესახებ არასრულია (არ არის საკონტაქტო ინფორმაცია, არც პედაგოგიური და სამეცნიერო პროფილი). ასევე არ არის ინფორმაცია ადინისტრაციული პერსონალის შესახებ. ვებგვერდზე არ არის განთავსებული სტრატეგიული განვითარების გეგმები, დაწესებულების წლიური ანგარიშები, ინფორმაცია მიმდინარე და განხორციელებული კვლევების შესახებ; არ არის ასევე ინფორმაცია სტუდენტებისათვის დასაქმების შესაძლებლობის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). ✓ ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები; ✓ ადმინისტრატორის პასუხიმგებლობის წესი; ✓ ინტერნეტის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ✓ დომენის და ჰოსტინგის სერთიფიკატები; ✓ ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხიმგებელი პირის სამუშაო აღწერილობა; ✓ ვიზუალური დათვალიერების შედეგები; ✓ ინტერვიუების შედეგები ხარისხის სამსახურის უფროსთან და საინფორმაციო სამსახურის მენეჯერთან.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ✓ ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება ინგლისურ ენაზე; ✓ აკადემიური პერსონალის შესახებ ინფორმაცის სრულყოფა (პედაგოგების და სამეცნიერო პერსონალის პროფილი, საკონტაქტო ინფორმაცია); ✓ ადმნისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულებზე პასუხისმგებელი პერსონალის შესახებ ინფორმაციის განთავსება; ✓ თდასუ-ში საქმისწაროების ელექტრონული სისტემის დანერგვა;
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ✓ სასურველია დაწესებულებამ ვებგვერდზე განათავსოს: სტრატეგიული განვითარების გეგმები, დაწესებულების წლიური ანგარიშები, ინფორმაცია მიმდინარე და განხორციელებული კვლევების შესახებ, ზოგადი სტატისტიკური მაჩვენებლები, ინფორმაცია სტუდენტებისთვის დასაქმების შესაძლებლობის შესახებ და სხვ.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თდასუ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და ფინანსური ანგარიშებით დასტურდება ფინანსური ინფორმაციის უტყუარობა და სანდოობა, რასაც ადასტურებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის/მომსახურების შეძენის შესაბამისი ხელშეკრულებები, ზედნადებები, გადახდის დამადასტურებელი ქვითრები, 2018 წელს გაწეული ფაქტობრივი ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტი.

თდასუ-ში არსებობს რექტორის მიერ დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკის და კონტროლის მექანიზმის განხორციელების დოკუმენტი, თუმცა ვერ იქნა წარმოდგენილი პრაქტიკაში მათი განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ. შიდა აქტი). როგორც რექტორმა აღინიშნა, რომ ეს ინფორმაცია კონფიდენციალურია. ფინანსური და მატერიალური სამსახურის საქმიანობას უზრუნველყოფს ბუღალტერი და ლოჯისტიკის მენეჯერი. არსებობს ფინანსური და მატერაური რესურსების სამსახურის დებულება, სამსახურის პასუხიმგებლობების გადანაწილების დოკუმენტი. თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. აღნიშნული სამსახურის პერსონალი, ძირითადად, ახორციელებს მათზე დაკისრებულ მოვალეობებს თუმცა გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები. მაგალითად, კანონმდებლობის შესაბამისად, მატერიალურ ფასეულობებს (კომპიუტერული ტექნიკა, საოფისე ავეჯი და სხვ.) არ აქვს მინიჭებული შტრიხკოდები, რის გამოც შეუძლებელია მათი იდენტიფიცირება ინვენტარიზაციის მონაცემებთან. გარდა ამისა, მატერიალური ფასეულობები მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე არ არის გადაბარებული მატერიალურად პასუხისმგებელ პირზე/პირებზე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2019 წლის ბიუჯეტით დასტურდება, რომ თდასუ გეგმავს რუსთავის გზატკეცილზე მდებარე შენობის სარემონტო სამუშაოების დასრულებას, რაც ხელს შეუწყობს თდასუ-ს მიერ სტრატეგიული გეგმით დასახული ამოცანების შესრულებას და გაზრდილი კონტიგენტის შემთხვევააში სტუდენტთა მომსახურებას.

უსდ-ს ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადი იქნება იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამებიდან მიიღებს იმდენ შემოსავალს, რამდენიც მას დაგეგმილი აქვს მოსალოდნელი შემოსავლების სახით. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება დაწესებულების მიერ სტრატეგიული

განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულების უზრუნველყოფა, მით უფრო, რომ უსდ-ს არ წარმოუდგენია და არც ინტერვიუირებიდან არ გამოვლენილა სტუდენტების მოზიდვის კონკრეტული ხედვა და შემუშავებული გეგმა.

არსებული რეალობის გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, 2018 წელს საგანმანათლებლო პროგრამებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შადგინა 154 873 ლარი ნაცვლად წინასწარ გათვალისწინებული 481 350 ლარისა. დაგეგმილ და ფაქტობრივად მიღებულ შემოსავლებს შორის სხვობამ შეადგინა 326 427 ლარი. ამავე წელს, დაწესებულებას ბიუჯეტი გაწერილი ჰქონდა 431 335 ლარზე. ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 307 935 ლარი. 2018 წელს უსდ-მ გასწია დაგეგმილზე 123 400 ლარით ნაკლები ხარჯი (დაგეგმილთან შედარებით ნაკლები ხარჯის გაწევა, ძირითადად, განხორციელდა ბიუჯეტის მუხლებში შემდეგი ოდენობით: „აკადემიური პერსონალის ანაზღაურება“ - 51278 ლარი; „თანამშრომელთა შრომითი მოტივაციის ხარჯები“ - 1291 ლარი; „სტუდენტთა სტიპენდიები (სწავლების მოტივაციის ხარჯები)“ - 6896 ლარი; „აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა“ - 2860 ლარი, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ხარჯები“ - 1274 ლარი; „სტუდენტთა კარიერული წინსვლის მხარდაჭერის ხარჯები“ - 5000 ლარი; „მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების ხარჯები“ - 4176 ლარი, „მივლინების ხარჯები“ - 3101ლარი; „პროფესიული პრაქტიკის ხარჯები“ - 5716 ლარი, „კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ხარჯები“ - 6200 ლარი; „საერთაშორისო ურთიერთობებისა და უცხოელ სტუდენტთა მხარდაჭერის ხარჯები“ - 4200 ლარი; „საკანცელარიო ხარჯი“ - 9183 ლარი; „მთლიანი კომუნალური ხარჯი“ - 4900 და სხვ.). ვფიქრობთ, შემცირებულმა ხარჯებმა გარკვეულწილად უარყოფითი გავლენა მოახდინა უსდ-ს განვითარებასა და მდგრადობაზე. გასულ საანგარიშო წელს, მთლიანობაში დაწესებულებამ მოგება ვერ მიიღო, პირიქით დეფიციტმა შეადგინა 153 062 ლარი, რომელიც, სავარაუდოდ, შეივსო სხვა დივერსიფიცირებული წყაროებიდან. კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ირკვევა, რომ დაწესებულების სასარგებლოდ, 01.01.2018 წლის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტში ზედმეტად სალდირებული თანხა შეადგენდა 57 662.98 ლარს, რაც მოხმარდა პერსონალზე გაცემული ყოველთვიური საშემოსავლო გადასახადების ნაწილს. ასევე ფიქსირდება, რომ 2018 წელს დამფუძნებლის ინვესტიცია შადგენდა 2772 ლარს, ხოლო, რაც შეეხება დარჩენილ 92627.02 ლარს არცერთ დოკუმენტში არ ფიქსირდება მისი დაფარვის წყარო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეუძლებელია წინასწარ განვაცხადოთ, რომ უსდ შეძლებს დაგეგმილი ბიუჯეტის შესაბამისად ხარჯების განხორციელებას.

თდასუ-ს 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული აქვს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის, ადამიანური რესურსების, ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება ორივე მისამართზე (ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22 (ნაკვეთი N7/29) და ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. N24). მათ შორის: ძირითადი საშუალებების შესაძენად და მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლებისათვის გათვალისწინებულია ჯამში 11 000 ლარი (რაც შეადგენს მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 2.2%-ს); რუსთავის გზატკეცილზე განთავსებული სასწავლო კორპუსის მიმდინარე რემონტისათვის 50 000 ლარი (დაწესებულების მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 10%), ხოლო გათბობის სისტემის მოსაწესრიგებლად - 54100 ლარი (მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 11%).

2018 წელს დაწესებულების დაგეგმილი ბიუჯეტიდან საერთოდ არ განხორციელებულა სტუდენტთა კარიერული წინსვლის მხარდაჭერისათვის გათვალისწინებული 5 000 ლარიდან თანხის ათვისება. გადახარჯვა ფიქსირდება დამხმარე პერსონალის ანაზღაურების (45%) და ძირითადი საშუალებების შეძენის საბიუჯეტო მუხლებში (175%). თავისთავად, ძირითადი საშუალებების შესაძენად გაზრდილი ხარჯი არ არის უარყოფითი მაჩვენებელი, მაგრამ სასურველია საპროგნოზო ბიუჯეტი დაიგეგმოს დაწესებულების

მიზნების შესაბამისად, მეტი სიზუსტით.

თდასუ-ის 2019 წლის ბიუჯეტი შეადგენს 501 235 ლარს და გაზრდილია 2018 წელთან შედარებით 79 900 ლარით (დაახლოებით 18.5%-ით), რაც, ძირითადად, გამოწვეულია რუსთავის გზატკეცილზე მდებარე შენობის მიმდინარე ხარჯების გაზრდით.

დაწესებულების მთლიან ბიუჯეტთან მიმართებაში შრომის ანაზღაურებისათვის ხარჯების წილი გათვალისწინებულია დაახლოებით შემდეგი თანაფარდობით: ადმინისტრაციული პერსონალისათვის 30%, აკადენიური პერსონალისათვის 28.2%, დამხმარე პერსონალისათვის 7.2%.

თანამშრომელთა შრომითი მოტივაციის და სამივლინებო ხარჯებისთვის, თითოეულისათვის ცალ-ცალკე გათვალისწინებულია, ბიუჯეტის დაახლოებით 0.5%, სტუდენტთა სტიპენდიებისათვის 0.6%, სტუდენტთა კვლევითი აქტივობებისათვის 1%, ხოლო სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის კონფერენციაში მონაწილეობის და ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნებისთვის დაახლოებით 4%.

როგორც უკვე აღინიშნა, თდასუ-ს მოძრავ მატერიალურ ფასეულობებს (კომპიუტერული ტექნიკა, საოფისე ავეჯი და სხვ.) არ აქვს მინიჭებული შტრიხკოდები. დაწესებულებაში არ არის ბრძანებით დანიშნული მატერიალურად პასუხისმგებელი პირი/პირები. შესაბამისად, მატერიალური ფასეულობები (კომპიუტერული ტექნიკა, საოფისე ავეჯი და სხვა) მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე არავის არ აქვს გადაბარებული (ინტერვიუს ჩატარებისას აღნიშნული დაადასტურეს ფინანსური სამსახურის პერსონალმა და საინფორმაციო რესურსების სამსახურის მენეჯერმა).

თდასუ-ს აქვს უფლებამოსილი აუდიტორის მიერ შედგენილი დასკვნა, მატერიალური ფასეულობების ფლობის შესახებ (ჩამონათვალი). მასში ასევე დაფიქსირებულია ჩამოსაწერი, გამოსაყენებლად უვარგისი კომპიუტერული ტექნიკა, თუმცა დასკვნაში არ არის ასახული მატერიალურ ფასეულობათა ღირებულებითი მაჩვენებელები.

ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე, არ დასტურდება, რომ უსდ-ს აქვს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- ✓ თდასუ-ის 2019 წლის ბიუჯეტი;
- ✓ წინა საანგარიშო პერიოდის ბიუჯეტი და ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი,
- ✓ საშტატო განრიგი;
- ✓ შრომითი ხელშეკრულებები;
- ✓ სააღრიცხვო პოლიტიკის და კონტროლის მექანიზმის განხორციელების დოკუმენტი;
- ✓ აუდიტის დასკვნა;
- ✓ ინტერვიუები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

- ✓ თდასუ-ის ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალიწინებული იქნას საგანმანათლებლო პროგრამებიდან მიღებული ფაქტობრივი შემოსავლები, დაფიქსირდეს არსებული

დეფიციტის შესავსებად საჭირო დივერსიფიცირებული წყაროები, დაგეგმილი ხარჯების განხორციელების მდგრადობის განსაზღვრის მიზნით; ✓ მატერიალურ ფასეულეობებს (კომპიუტერული ტექნიკა, საოფისე ავეჯი და სხვა) მიენიჭოს შტრიხკოდები კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად; ✓ დაინიშნონ მატერიალურ ფასეულობების მოვლა/შენახვაზე პასუხიმგებელი პირები.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ✓ სასურველია უსდ-ამ გააუმჯობესოს ბიუჯეტის დაგეგმვის პოლიტიკა, რათა თავიდან აიცილოს ბიუჯეტეტი ხარჯვით მუხლებში გათვალისწინელი თანხების აუთვისებლობა/გადახარჯვა.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	ინგლისური ფილოლოგია	ქართული ენა	ფილოლოგიის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	25. 08. 2016 N 115
2	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული ენა	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	25. 08. 2016 N 116
3	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული ენა	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი	120	აკრედიტებული	25. 08. 2016 N 117
4	სამართალი	ქართული ენა	სამართლის მაგისტრი	120	აკრედიტებული	14. 12. 2016 N 140
5	სტომატოლოგია	ქართული ენა	დიპლომირებული სტომატოლოგი	300	აკრედიტებული	25. 08. 2016 N 114